დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნას

ბიზნესის ადმინისტრირება (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

14.09.2022

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი -----**დავით**----------

გვარი -------**სიხარულიძე**------

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ბიზნესის ადმინისტრირება (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) (ინგლისურენოვანი)
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	6
4	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ინგლისური
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0102, თბილისი, პაატა სააკაძის #1
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 27.07.2021 №746555
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	27.07.2021
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	ერთი წელი 27.07.2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2024

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდირებულია მეხუთე და მეექვსე პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირებისასა მოხდეს მათ შორის შინაარსის მკაფიოდ გამიჯვნა;
2. ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებულ იქნას საგნის სპეციფიკა;
3. რეკომენდირებულია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების მიზნით შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ადეკვატურ განსაზღვრა. კერძოდ მიგვაჩნია, რომ მაკროეკონომიკის საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკა, ბიზნესის გეგმის განვითარების წინაპირობა არის დასაზუსტებელი, ბრენდის მართვის, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის წინაპირობად განისაზღვროს მარკეტინგის საფუძვლები;
4. რეკომენდირებულია მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება;
5. რეკომენდირებულია პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მოდიფიცირება მასში კონცენტრაციების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) მახასიათებლების ასახვით;
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი;
7. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში;
8. რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ „ბიზნესის ადმინისტრირების (სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 27.07.2021. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 27 ივლისი.

დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები. კერძოდ ჩატარდა შეხვედრები პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ბიზნესის სკოლის დეკანი, საბაკალავრო პროგრამის დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, თანა ხელმღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში დაიხვეწა სწავლის შედეგები, განახლდა ლიტერატურა, გაუმჯობესდა სასწავლო კურსების შეფასების სისტემა, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების გაძლიერების მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებები და პროგრამაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით შეიქმნა სწავლების უზრუნველყოფის საბჭო.

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რჩევ(ებ)ი[8]

- სასურველია სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულ იქნას აქტიური ზმნები გაზომვის მიზნით;
- სასურველია პროგრამამ სტუდენტებს შესთავაზოს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსის სახით;
- სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს აფილირებული აკადემიური პერსონალის ზრდა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

- რჩევები მეტწილად გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება[13]	**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)
[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.
[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია მეხუთე და მეექვსე პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირებისას მოხდეს მათ შორის შინაარსის მკაფიოდ გამიჯვნა;
შეფასება	რეკომენდაცია დაწესებულების მიერ არის გათვალისწინებული. გამომდინარე იქიდან, სწავლის შედეგები ,,განახორციელოს ეფექტური წერილობითი და სიტყვიერი კომუნიკაცია ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გარემოში“ და ,,განახორციელოს კომუნიკაცია უცხო ენაზე, როგორც ბიზნეს, ასევე ზოგადი თემების ირგვლივ“, შინაარსობრივად მსგავსია დაწესებულებამ ამ ორი სწავლის შედეგების საფუძველზე ჩამოაყალიბა ერთი სწავლის შედეგი შემდეგი ფორმულირებით: განახორციელოს ეფექტური წერილობითი და სიტყვიერი კომუნიკაცია ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებით და ზოგადი თემების ირგვლივ, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო გარემოში;“
რჩევა[15] I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II[16]	ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებულ იქნას საგნის სპეციფიკა;
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია. რეკომენდაციაში აღნიშნული იყო რომ ,,ბიზნეს სტატისტიკის“ სწავლის შედეგები იყო ზოგადი ხასიათის და არ ჩანდა საგნის სპეციფიკა. დაწესებულებამ მოახდინა აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების განახლება და ფორმულირებულია შემდეგნაირად: • ამუშავებს მონაცემებს და მათი ანალიზის საფუძველზე იღებს ბიზნეს გადაწყვეტილებებს;

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	• თეორიული და პრაქტიკული უნარების საფუძველზე, აანალიზებს მიღებულ მონაცემებს და აკეთებს შესაბამის დასკვნებს; • იყენებს შესაბამის პროგრამებს მონაცემების ანალიზისათვის; • იყენებს გაურკვევლობის ანალიზს და ძირითად საჭირო მეთოდებს ამ პირობებში გადაწყვეტილების მისაღებად; • აიდენტიფიცირებს პრობლემას რელევანტურ დროში და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით იღებს პრობლემის გადასაჭრელად საჭირო გადაწყვეტილებებს; ასევე მოხდა სასწავლო კურსის ,,კორპორაციული სოციალური პასუხიმგებლობა“ სწავლის შედეგები დახვეწა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: • აღწერს CSR პრინციპებს; • აანალიზებს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის როლს და მნიშვნელობას, როგორც ბიზნეს მოდელის ნაწილს; • აფასებს CSR-ის მთავარ პრინციპებს და საერთაშორისო/ლოკალურ შემთხვევებს და ახორციელებს პრაქტიკაში საჭიროების მიხედვით ინტეგრირებას; • იყენებს CSR პრინციპებს ბიზნეს ეთიკის, ეთიკური გადაწყვეტილებებისა და ეთიკური დილემის დროს საჭირო რეაგირებისათვის;
რჩევა[17] II	სასურველია სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულ იქნას აქტიური ზმნები გაზომვის მიზნით.
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია, კერძოდ 25 სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლის შედეგები დაიხვეწა აქტიური ზმნების გამოყენებით.
მტკიცებულებ(ები)ა	• სასწავლო კურსის სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია II[18]	რეკომენდებულია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების მიზნით შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ადეკვატური განსაზღვრა. კერძოდ მიგვაჩნია, რომ მაკროეკონომიკის საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკა, ბიზნესის გეგმის განვითარების წინაპირობა არის დასაზუსტებელი, ბრენდის მართვის, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის წინაპირობად განისაზღვროს მარკეტინგის საფუძლები.
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია, ვინაიდან მაკროეკონომიკის წინაპირობად განისაზღვრა მიკროეკონომიკა. სტრატეგიული მარკეტინგის წინაპირობად განისაზღვრა მარკეტინგის საფუძვლები, ბრენდის მართვისა და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის წინაპირობად განისაზღვრა სტრატეგიული მარკეტინგი, ხოლო ბიზნეს-გეგმის წინაპირობად განისაზღვრა სტრატეგიული მარკეტინგი, შესავალი ფინანსებში და მენეჯმენტის საფუძვლები.
რჩევა[19] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა • სასწავლო კურსის სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.2 სასწავლო კურსი**
რეკომენდაცია II[20]	რეკომენდებულია მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება.
შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია, ვინაიდან შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ განახლდა **ბიზნესის კომუნიკაციის**

[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	(Business communication today / Bovée, Courtland L. 2018), **ბიზნეს გეგმის განვითარება** (Successful Business Plan – Secrets & Strategies, Rhonda Abrams, 7th edition, Planning Shop, Palo Alto, California 2019), **ფინანსური ინსტიტუტების მართვა** (Financial Institutions Management, Anthony Saunders Financial Institutions Management_ A Risk Management Approach 9e 2018), **ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები** (Financial Markets and Institutions / Mishkin, Frederic S.; Eakins, Stanley 2018), **ფინანსური ანგარიშგება** (Donald E. Kieso, Jerry J. Weygandt, Terry D. Warfield – Intermedıate Accountıng the Second Edıtıon 2014), **კრეატიული კონტენტ მარკეტინგი** (The Content Marketing Handbook, Robert W. Bly, 2020, United States), **მეწარმეობა** (Harvard Business Review Entrepreneur's Handbook: Everything You Need to Launch and Grow Your New Business (HBR Handbooks) Hardcover – 2018), **ლიდერობა** (Leadership - Theory, Application, and Skill Development (6th Edition) Robert N. Lussier & Christopher F. Achua 2016) **სასწავლო კურსები.**
რჩევა[21] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა • სასწავლო კურსის სილაბუსები; • ლიტერატურის შემენის დამადასტურებელი მასალები.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**
რეკომენდაცია II[22]	რეკომენდირებულია პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მოდიფიცირება მასში კონცენტრაციების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) მახასიათებლების ასახვით

[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	რეკომენდაცია გათვალისწინებულია, ვინაიდან პრაქტიკის სილაბუსში მოხდა სწავლის შედეგების მოდიფიცირება კონცენტრაციის გათვალისწინებით. კერძოდ სწავლის შედეგები არის ფორმულირებული ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტისა და აღრიცხვისა და აუდიტის კონცენტრაციისათვის.
რჩევა[23] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა • სასწავლო კურსის სილაბუსები; • ლიტერატურის შეძენის დამადასტურებელი მასალები.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	**2.6. სტუდენტების შეფასება**
რეკომენდაცია II[24]	რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები დაიხვეწა და ქულების ჯამის გამოსწორდა. ამას გარდა თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ონლაინ პლატფორმა, რომელშიც ხდება სილაბუსების შეყვანა. აღნიშნული პლატფორმის საშუალებით ჯამდება ქულები. არასწორი დაჯამების შემთხვევაში პლატფორმა იძლევა შეცდომის შეტყობინებას.
რჩევა[25] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• სასწავლო კურსის სილაბუსები;

[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[24] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[25] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**
კომპონენტის დასახელება	**4.1 ადამიანური რესურსი**
რეკომენდაცია II[26]	რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. ვინაიდან დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი ტიპის სახელშეკრულებო სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს აკადემიური პერსონალის ჩართულობის გაძლიერებას. შესაბამისად გააქტიურდა აკად პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა და გამოქვეყნდა ორი სახელმძღვანელო, მომზადდა ორი პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისათვის და გამოქვეყნდა ორი სტატია 2020-2021 წლებში.
რჩევა[27] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• პროექტების მოკლე მიმოხილვა • 2020-21 წლის სტრატეგიული ამოცანების შეკრულების მაჩვენებელი.

სტანდარტის დასახელება	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	**5.1 შიდა ხარისხის შეფასება**
რეკომენდაცია II[28]	რეკომენდებულია გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია, ვინაიდან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით 2021 წლის გაზაფხულზე შეიქმნა სწავლების უზრუნველყოფის

[26] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[27] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[28] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	საბჭო, რომლის წევრებიც არიან სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. საბჭოს ფარგლებში მიმდინარეობდა წავლების კომპონენტის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და დახვეწა; განხორციელდა იმ საგნების იდენტიფიცირება, რომელთა შეფასების კრიტერიუმებზე მოხდა დაკვირვება 2020-21 და 2021-22 სასწავლო წლებში. მიღებული შედეგების შესაბამისად და კურსის აკადემიურ პერსონალთან ერთად ხდება კურსების სილაბუსების და სწავლის შედეგების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კორექტირება.
რჩევა[29] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• სწავლების უზრუნველყოფის საბჭოს დებულება • სწავლების უზრუნველყოფის საბჭოს შეხვედრების შედეგები; • კავკასიის ბიზნესის სკოლის სწავლების უზრუნველყოფის პროცესი: 2019-2023. • საბჭოს შეხვედრების ოქმები

თანდართული დოკუმენტაცია[30]

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ქართულ და ინგლისურ ენებზე
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- კავკასიის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ელექტრონული სამეცნიერო ბაზები და რესურსები;
- ლიტერატურის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი
- 2020-2021 აკადემიური წლის-სტრატეგიული ამოცანების შესრულების მაჩვენებლების ანგარიში
- აკადემიური პერსონალის კვლევით აქტივობებში ჩართულობის ანგარიში
- კავკასიის ბიზნესის სკოლის დებულება
- სწავლების უზრუნველყოფის საბჭოს დებულება;
- სწავლის უზრუნველყოფის საბჭოს სხდომის ოქმები;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგების
- რუკა);

[29] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[30] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (მიზნებისა და პროგრამის შედეგების რუკა)
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების
- შეფასების მექანიზმი

ექსპერტის ხელმოწერა